

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი N6

ქ. თელავი

20.06.2022 წელი

თავმჯდომარეობდა: ზურაბ ლილუაშვილი

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თამარ ხატიაშვილი; ოთარი ესიტაშვილი; გივი ლაფაური; მამუკა ბურდიაშვილი; გიორგი ხაჭაპურიძე; გიორგი ქართლელიშვილი; გიგი გიგიტელაშვილი; რუსუდან იმერლიშვილი; ნინო ომანიძე; იმედა კველიშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ; საკრებულოს აპარატის უფროსი - ტარიელ გალახვარიძე; საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - ლია ფარსადანიშვილი; საკრებულოს საორგანიზაციო განყოფილების უმცროსი სპეციალისტი - ნინო ასანაშვილი; საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის სპეციალისტი - ნიკოლოზ ესიტაშვილი; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ნათია ვაყელიშვილი; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - დავით ქსოვრელიშვილი; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი - გიორგი ენუქიძე.

თავმჯდომარემ კომისიის სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის 29 დეკემბრის N03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი - ზ. ლილუაშვილი

თანამომხსენებელი - ნ. ვაყელიშვილი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის 29 დეკემბრის N03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვა: ზ. ლილუაშვილმა ზოგადად ისაუბრა წარმოდგენილ ცვლილებასთან დაკავშირებით და განმარტებები მოსთხოვა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს- ნ. ვაყელიშვილს.

მან აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებული პროექტი ეხება თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანას,

რომლის მოტივიც მდგომარეობს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოების განსახორციელებლად და ა(ა)იპ თელავის სატრანსპორტო სამსახურის წლის ბოლომდე ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად თანხების მობილიზებაში.

თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი განისაზღვროს 69965,02 ათასი ლარის ოდენობით.

მოხდეს ცვლილება ბიუჯეტის გადასახდელებში. კერძოდ: შემცირდეს საგზაო ნიშნების და უსაფრთხოების (კოდი 02.01.03) არაფინანსური აქტივების ზრდის მული 11,714 ათ. ლარით. ტენდერის შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის გათვალისწინებით. ასევე წარმოქმნილი ეკონომიების და გამოთავისუფლებული თანხების გათვალისწინებით შემცირდეს სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის (კოდი 02.02.01) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 526,433 ათასი ლარით; ბინათმშენებლობის ღონისძიებები (კოდი 02.05) სხვა ხარჯების მუხლი 29,789 ათასი ლარით; სასაფლაოების მოვლა-პატრონობის (კოდი 02.07.01) საქონელი და მომსახურების მუხლი 10,414 ათასი ლარით;

შესაბამისად, წარმოქმნილი ეკონომიებით გაიზარდოს მუნიციპალიტეტის მერიის (კოდი 01.01.02) საქონელი და მომსახურების მუხლი 22,880 ათასი ლარით, გათავისუფლებული თანამშრომლის განაცდური ხელფასის და კომპენსაციის ანაზღაურებისათვის. ჩამდინარე წყლების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის ღონისძიებების (კოდი 02.02.03) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 166,433 ათასი ლარით.

გაიზარდოს მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურების (კოდი 02.04.02) სუბსიდიის მუხლი 360,0 ათასი ლარით, ა(ა)იპ თელავი სატრანსპორტო სამსახურის ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით.

გაიზარდოს სასმელი წყლის „სოკო“ -ს (კოდი 02.06.02) საქონელი და მომსახურების მუხლი 4,755 ათასი ლარით. მოხმარებული წყლის ღირებულების ანაზღაურებისათვის.

გაიზარდოს სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობის (კოდი 05.01.01) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 38,28 ათასი ლარით, მიმდინარე წლის 28 მარტს მომხდარი სტიქიის (ქარიშხალი) შედეგად დაზიანებული სოფ. ყარაჯალაში ხელოვნურსაფარიანი მინი მოედნის შეღობვის სამუშაოებისათვის.

შემცირდეს სოციალურად დაუცველ პირთა დახმარების (კოდი 06.02.02.02) სოციალური უზრუნველყოფის მუხლი 100,0 ათასი ლარით და აღნიშნული თანხით გაიზარდოს სამედიცინო და მედიკამენტებით დახმარების ღონისძიებების (კოდი 06.02.10) სოციალური უზრუნველყოფის მუხლი.

კომისიის წევრებში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია სოფელ ყარაჯალაში სტიქიის შედეგად დაზიანებული, მინი მოედნის შეღობვის სამუშაოების დაფინანსების საკითხმა.

გიგი გიგიტელაშვილი - არსებობს თუ არა დასკვნა, რომ ნამდვილად სტიქიის შედეგადაა დაზიანებული მოედანი და არა უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების გამო. რაზეც დავით ქსოვრელიშვილმა უპასუხა, რომ აღნიშნული დაზიანების ექსპერტიზა შეუძლებელია, თუ სტიქიის მომენტში დაზიანების ამსახველი ვიდეო კადრები არ არის. სამაგიეროდ არსებობს დასკვნა, რომ მინი მოედნის მშენებლობა არსებული პროექტის მიხედვითაა შესრულებული.

გიგი გიგიტელაშვილმა - წარმოადგინა ვიდეო მასალა, სადაც აღბეჭდილია თუ რა სავალალო მდგომარეობაშია სოფელ კურდღელაურში რამდენიმე წლის წინ გაკეთებული მინი მოედანი. აქვე შემოვიდა წინადადებით, საკრებულოს სხდომაზე დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება. გამოიძებნოს არსებული მოედნის შესაკეთებელი თანხები და შესაბამისად ბიუჯეტში განხორციელდეს ცვლილება

კომისიის წევრების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა წარმოდგენილ ცვლილებას. კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს ნინო ომანიძემ და იმედა კველიშვილმა.

გადაწყვიტეს: ბიუჯეტის ცვლილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე



ზ. ლილუაშვილი